№ 56 14 მარტი, ოთხშაბათი 1866—1879 14 მარტი, ოთხშაბათი № 56

დროება

ᲣᲙᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба".

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—5 მან., სამის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

ფასი განცხადებისა: დიდი ასოებით ერთ ასოზე—1 კაპ., ორ-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ერთ-მთავრულით ცალ-ცალკეთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ᲐᲛ 1879 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

„ᲓᲠᲝᲔᲑᲐ"

გამოდის მუდამ დღე და იმავე მიმართულებითა და პროგრამმით, როგორც აქამდინ გამოდიოდა.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ

თფილისში მიიღება რედაქციაში, ბაღის ქუჩაზე ბ. შადინოვის სახლებში, № 33.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა გაზეთი ამ ადრესსით უნდა დაიბარონ: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба".*

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ

მთელის წლისა — —	8 მან.
ექვსის თვისა — — —	5 მან.
სამის თვისა — — —	3 „
ერთის თვისა — — —	1 „

პირველი მარტიდამ წლის დამლევამდინ 6 მან.

ფული გაზეთის დაბარებისა-თანავე უნდა იქმნესრედაქციაში წარმოდგენილი

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲛᲔᲑᲘ

(„დროების" კორრესპონდენტისა)

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ, 13 მარტს. ნაშუადღევის 2 საათს. ეს-ეს არის ურიების საქმე სასამართლოში გათავდა. ᲧᲕᲔᲚᲐ ᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲘᲡᲘ გაამართლეს. პუბლიკამ ტაშის კვრით ეს განაჩენი. პროკურორმა პროტესტი გამოაცხადა. ᲑᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲣᲚᲜᲘ თავდებობით გაათავისუფლეს.

(ᲮᲐᲚᲮᲗᲐ-ᲨᲝᲠᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡᲘ)

ᲙᲝᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ, 11 მარტს. ᲑᲐᲖᲔᲗᲘ „ᲑᲝᲚᲝᲡᲘ" სწერს, რომ ᲥᲐᲡᲞᲘᲘᲡ აქეთ მხრის ტელეგრაფით შესაერთებლათ საზოგადო ტელეგრაფების ხაზებთან რუსეთში, ამ წელს გადასწყვიტეს ᲑᲐᲥᲝᲡ და ᲙᲠᲐᲡᲜᲝᲕᲝᲓᲡᲙᲘᲡ შუა ზღვის ქვეშ გაიყვანონ კაბელი.

ᲕᲔᲢᲚᲘᲐᲜᲙᲐ, 8 მარტს. ᲔᲘᲮᲕᲐᲚᲓᲛᲐ ᲘᲐᲠᲝᲕᲐ აქ 15 დეკემბერს გადაცვლილის ᲕᲔᲢᲚᲘᲐᲜᲙᲘᲡ მღვდლის მათე ᲖᲣᲡᲐᲜᲝᲕᲘᲡ ქალალდები, რომლიდამაც მთელი ᲔᲞᲘᲓᲔᲛᲘᲘᲡ ისტორია შეიტყობა.

ᲙᲝᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ, 11 მარტს. „ᲐᲮᲐᲚ ᲓᲠᲝᲔᲑᲐᲡ" სწერენ ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲓᲐᲛ 9 მარტს, რომ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲛᲐ წინადადება მისცა ᲞᲝᲠᲢᲐᲡ დანიშნოს აღმოსავლეთ-რუმელიის გენერალ გუბერნატორათ მომავალი ᲑᲝᲚᲒᲐᲠᲘᲘᲡ თავადი.

„მართებლობის ᲫᲚᲐᲛᲑᲔ" სწერს, რომ ᲚᲝᲠᲘ-ᲛᲔᲚᲘᲥᲝᲕᲘᲡ წინადადებით ფინანსის მინისტერმა უბრძანა ᲐᲡᲢᲠᲐᲮᲐᲜᲘᲡ გუბერნიაში ხაზინებს გაეცვალათ ახალი კრედიტის ბილეთებზე თევზის სუნითა და ნოტიოთ დალამებული ქალალდის ფულები.

„ᲐᲮᲐᲚ ᲓᲠᲝᲔᲑᲐᲡ" სწერენ, რომ ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲘᲛ და ᲖᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲛ თანახმობა განაცხადეს ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ წინადადებაზე შესახებ ᲑᲝᲚᲒᲐᲠᲘᲘᲡ თავადის გენერალ-გუბერნატორათ დანიშვნისა აღმოსავლეთ რუმელიაში.

ᲞᲐᲠᲘᲫᲘ. 10 მარტს. აქ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ და რუსეთის დაახლოვებას ყურადღებას ადევნებენ.

ᲠᲝᲛᲘ, 10 მარტს. ᲐᲥᲐᲣᲠᲘ გაზეთები ლაპარაკობენ რუსეთს და ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ერთმანერთთან კავშირის დასკვნაზე.

ᲙᲝᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ, 12 მარტს. აქ ᲔᲚᲘᲐᲜ დღეს შანზის.

ᲙᲝᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ, 12 მარტს. ᲑᲠᲐᲤᲘ ᲚᲝᲠᲘᲡ-ᲛᲔᲚᲘᲥᲝᲕᲘ 11 მარტს ᲕᲔᲢᲚᲘᲐᲜᲙᲐᲨᲘ მოვიდა. ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲕᲐᲗᲛᲧᲝᲤᲔᲑᲘ ᲛᲔᲢᲘ არ არის. ᲔᲘᲮᲕᲐᲚᲓᲘᲪ აქ არის. ᲔᲥᲘᲛᲔᲑᲛᲐ გადასწყვიტეს 6-7 სახლის 45 ათასი მანეთათ ღირებულის გადაწვა.

ᲝᲓᲔᲡᲐ, მარტს. ᲞᲐᲠᲐᲮᲝᲓᲡ „ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ" მოვიდა აქ ᲕᲐᲠᲜᲘᲓᲐᲛ ᲢᲝᲢᲚᲔᲑᲔᲜᲘ თავისი ᲛᲢᲐᲑᲘᲗ. ᲐᲦᲢᲐᲪᲔᲑᲣᲚᲘ შეგებება ქალაქისა.

ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲘ, 11 მარტს. ᲛᲣᲮᲗᲐᲠ-ᲤᲐᲨᲐᲡ უბრძანეს სტამბოლშივე დაბრუნება. ᲞᲝᲠᲢᲐ უარს ამბობს ᲑᲝᲚᲒᲐᲠᲘᲘᲡ კონსტიტუციის 10 და 12 მუხლის მიღებაზე.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲠᲩᲔᲕᲐ

სხდომა 12 მარტისა

ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐᲛ შემოიტანა წინადადება გადამწვერების შემწეობაზე. ᲐᲛ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲘᲗ უნდა ამორჩეულ იყო კამისია, შედგენილი სამს წევრისაგან. ᲙᲐᲛᲘᲡᲘᲐᲛ უნდა გამოიკელიოს და შეიტყოს რა ზარალი დაედვათ გადამწვარებსა; მიჰმართოს საზოგადოებას და მოაგროვოს ფული; კამისიას ეძლევა ახლავე ასი თუმანი ქალაქის ფულიდამ, რომ უფრო გაჭირებულ გადამწვარებს დაეხმაროს. ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲠᲩᲔᲕᲐᲛ მიიღო ეს წინადადება და ამის ასრულება მიანდო სამს ხმოვანს: **ᲗᲐᲕ. ᲮᲝᲯᲐᲛᲘᲜᲐᲡᲝᲕᲘᲡ, Ს. ᲖᲐᲠᲐᲤᲝᲕᲘᲡ** და **Ი. ᲞᲘᲗᲝᲔᲕᲘᲡ**.

ᲐᲛ ᲡᲮᲓᲝᲛᲐᲨᲘ უნდა განხილულიყო 1879 წლის ქალაქის შემოსავალ-გასავალი, მაგრამ ᲠᲩᲔᲕᲐᲛ ეს საქმეც კამისიას მიანდო, რომელმაც განხილვის შემდეგ უნდა წარუდგინოს ᲠᲩᲔᲕᲐᲡ თავისის შენიშვნებით და დასკვნით. ᲙᲐᲛᲘᲡᲘᲐ, რომელსაც ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲗ ᲙᲐᲛᲘᲡᲘᲐ დაარქვეს შესდგა ხუთს წევრისაგან: ᲮᲛᲝᲕᲐᲜᲘ ᲚᲐᲛᲑᲐᲠᲝᲕᲘ, ᲗᲐᲛᲐᲛᲨᲝᲕᲘ, ᲔᲕᲐᲜ�გᲣᲚᲝᲕᲘ, ᲮᲝᲯᲐᲛᲘᲜᲐᲡᲝᲕᲘ და ᲡᲢᲐᲢᲙᲝᲕᲔᲡᲙᲘ.

ᲬᲐᲙᲘᲗᲮᲣᲚᲘ იყო ᲮᲛᲝᲕᲐᲜ ᲛᲐᲛᲐᲪᲝᲕᲘᲡ წიგნი, რომლითაც ის აცხადებს თავის თანამდებობის დატოვებას.

ᲑᲝᲚᲝᲡ ᲠᲩᲔᲕᲐ შეუდგა ᲮᲛᲝᲕᲐᲜ ᲡᲢᲐᲢᲙᲝᲕᲡᲙᲘᲡ წინადადებას შესახებ ქალაქის შემოსავლის წარმატებისა. ᲐᲛ საგანზე ᲩᲕᲔᲜ დაწვრილებით მოველაპარაკებით მკითხველს სხვა სტატიაში, მინამ კი ვიტყვით, რომ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲠᲩᲔᲕᲐᲛ ამ წინადადების ასრულებისათვის გადაწყვიტა, გარდა ფინანსთ კამისიისა, რომელიც სამუდამო უნდა იყოს, კიდევ ორი სხვა კომისია შეედგინა ᲮᲣᲗ-ᲮᲣᲗ წევრისაგან; წევრების ᲐᲛᲝᲠᲩᲔᲕᲐ მომავალ სხდომამდე გადასთვეს.

ლღიური

*** ბაზეთს „ქავკაზში“ სწერენ: ჩვენ გავიგონეთ, რომ თფილისში მიულიათ ბაქოდამ ამ ნაირი დეპეშა: მეთორმეტე ნავთის გრუპაში ინჟინერი და მისი სახლეულება დაღუპა გაზების აფეთქებისგან დანგრეულ სახლ ქვეშ.

*** ბუშინ წინ ორმა რაჭველებმა ალექსი სახაძემ და კოსტანტინე ახვერდიანმა წაკიდების დროს დაჭრეს თავში თფილისის მცხოვრებს, სალდათის ბაზარში მოვაჭრეს, დარჩა ბრიქუროვს რკინის შამფური, რომლის გამო ეს ბრიქუროვი რამდენიმე საათში მიიცვალა. პროტოკოლი და ბრალდებულები 2 უჩასტკის გამომძიებელს გადასცეს.

*** თერთმეტს მარტს აქაური ცირკის დირექციამ მისცა ერთი წარმოდგენა ახლად გადმწვარი მცხოვრებთ სასარგებლოთ. დიდ ძალი ხალხი დაესწრო ამ სამადლო წარმოდგენას.

*** ჩვენ ვნახეთ ამ დღეებში ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში ერთი ქართული ხელთ ნაწერი წიგნი, კანონი მალაქია კათალიკოზისა.

სამართალი

(„დროების“ კორრესპონდენტისაგან)

ურიების საქმე

ქუთაისის ოლქის სასამართლოში

სხდომა 9 მარტს, დილას.

(ბაგრძელება)

ი ო ს ე ბ კ უ პ ა ტ ა ძ ე. ამ საქმეზე მე ეს ეიცი, ბატონო, რომ სოფლის კანცელარიაში ვიყავი, მამასახლისმა წაგვიყვანა და გვაჩვენა მკვდარი ბავშვი. მერე აღარაფერი მინახავს, რადგან ხალხმა წაიყვანა მიცვალებული.

ი ვ ა ნ ე ბ ა რ ა ლ ა ძ ე. პოლიციის პრისტავი მოვიდა ჩვენთან და გვიბრძანა დარბაიძეები მოაგროვეთ, რომელთაც ნახეს ყმაწვილი. საცა ბავშვი ეგდო, ორი ცხენის კვალი ენახე. ეს იყო 22 აპრილს. ძველი კვალი იყო, ორი კვირის იქნეოდა(?). მე ჩემი აზრით ასე ვეტყობ, რომ ორი კვირის კვალი უნდა ყოფილიყო. ღელეები იმ ადგილას არ არის.

მ ა ქ ს ი მ ე დ ა რ ბ ა ი ძ ე (მამასახლისის თანაშემწე). პრისტავმა მიბრძანა, მოვაგროვო ყველა ხალხი, ვისაც ბავშვი უნახავს. დავათვალიერეთ ის ადგილი, საცა ბავშვი იყო და ვნახეთ ორი ცხენის კვალი; კვალი ძველი იყო. 22 აპრილს მოხდა ეს ანბავი. მაშინ გაგონილი მქონდა, რომ ამ საქმეს ურიებს აბრალებდნენ. ხმა იყო, რომ ურიებმა ეს მკვდარი საჩხერიდამ მოიტანესო. ბევრზე არავითარი ჭრილობა არ მინახავს.

ი ო ს ე ბ მ ი ქ ა ძ ე. საღამოს, 4 თუ 5-ს პრისტავთან ვიყავი, როდესაც მოვარდა 15 ურია და პრისტავს სთხოვეს, რომ ყმაწვილის მოტაცებას გვაბრალებენო და ამიტომ ჩვენის ხარჯით დაგვიყენეთ ყარაული, თორემ გვეშინიანო, რომ ყმაწვილი არ შემოგვიგდონო. მესამე თუ მეოთხე დღეს, ჩემი ძმის-წული ფილიმონ მიქაძე მოვიდა ჩემთან და ვკითხე ამ საქმის გარემოება. იმან მითხრა, რომ მართლა მოდებაძის ქალი დაიკარგა სამშაბათსაო და ხუთშაბათს ნახესო; სხვებთან მეც ვიყავიო როცა ის ბავშვი ნახესო და თითებს შუა გამოჭრილი ჰქონდა. მეტი არა მიკითხავსრა. ოთხ ხნის შემდეგ, მეც მივიღე ამ საქმეში მონაწილეობა. როცა დაწერილებით გამოვიძიე, შევიტყე, რომ ცხენების კვალი იყო მიხეილ წერეთლისა და სიდონიისა, რომელნიც იყვნენ იმ ადგილის სანახავად. ოთხშაბათს და ხუთშაბათს დიდი წვიმა და თოვლი იყო.

ი ო ს ე ბ მ ო დ ე ბ ა ძ ე. ამ კაცმა მიქაძემ თავის ძმისწული გამომიგზავნა და შემომითვალა, რომ ბოვშვი ხომ დაჰკარგე და თუ გაჩუმდები, რაც გინდა, იმას მივაცემინებ, ოღონდ კი გაჩუმდიო,

სასამართლომ ნება არ მისცა, რომ ამ საგანზე ლაპარაკი ყოფილიყო ამ ჟამად.

ი ო ს ე ბ მ ო ქ ა ძ ე ქუპერნიკის კითხვაზე: მე მიყიღე ამ საქმეში მონაწილეობა პოლიციის პრისტავის თხოვნით რომელსაც ამასაგანზე უეზდის უფროსისაგან ჰქონდა ბრძანება მიღებული. ურიები რომ მოვიდნენ პრისტავთან, ეს იყო სამშაბათს ან მეორე დღესვე; მაშინ პრისტავს ჯერ ცნობა არ ჰქონია მამასახლისისაგან მიღებული.

პირველი ჩვენება ამ მოქაძისა სულ სხვანაირად არის დაწერილი. ამის ასასხნელად მიქაძე ამბობს:

მაშინ მთელი ხალხი ისეთი გაბრაზებული იყო, რომ არავის შეეძლო ჭეშმარიტება ეთქვა და არ დათანხმებოდა ხალხის აზრს. ყველას, ვინც ურიების სასარგებლოდ რისამე თქმას გაბედავდა, მოკვლას და სახლ-კარის გარდაწვას ემუქრებოდნენ. აი ეს გახლდათ იმის მიზეზი, რომ მე მაშინ სწორეთ არ მიჩვენებია; მე ვიცოდი, რომ ამ საქმეზე კიდევ ჩამომართმევენ ჩვენებას ფიცით, და ამის იმედი მქონდა, რომ მაშინ უჩვენებდი სრულს სინამდვილეს და ჭეშმარიტებას. ამნაირად, მოგახსენებთ, რომ ჩემი პირვანდელი ჩვენება ძალ-დატანებითი შიშით გამოწვეული ჩვენებაა და ახლანდელი კი სრული სიმართლე.

ა ხ უ მ ო ვ ი (მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწე). მე მივიღე ცნობა ამ ბავშვის თაობაზე 13 აპრილის, 14-ს მე და ექიმი ბერნო ერთად წაველით შესამოწმებლად. საფლავიდამ რომ ამოვიღეთ, ვნახეთ კარგათ შენახული გვამი. ხელები რომ დავხედეთ, ვნახეთ, რომ ორივე ხელებზე, თითებს შუა, თხელი ხორცი ამოგლეჯილი ჰქონდა; სხვა არაფერი ჭრილობა არ შემინიშნავს. რომ გავეჭერით, დავინახეთ, ტვინი სავსე იყო სისხლით, ყელში ქაფი იყო და ფილტვები გაბერილი ჰქონდა, მუცელშიაც მღვრიე წყალი ერთის სტაქნის ოდენა. იქვე ადგილზე მხოლოთ შენიშვნები დავწერე; შემდეგ სოფლის კანცელარიაში წაველით და მე იქ დავწერე პროტოკოლი. ბაჭრა გვამი ფერშალმა რუხვაძემ ექიმის განკარგულებით. 29 აპრილს მივიღე მე ექიმისაგან აქტი ნახვისა და გაჭრისა. თითებზე თითქო გამოგლეჯილი ჰქონდა კბილებით. ექიმი კი ამბობდა, ეს ჭრილობა სიკვდილის შემდეგ მოხდარაო. ექიმი ამბობდა, რომ ბავშვი დამღვრჩვალი უნდა იყოსო, მე კი ვამტკიცებდი, რომ აქ, ამ ადგილას, ბავშვის დაღრჩობა შეუძლებელი არისო. მე დავხედე ის ადგილი საცა ნახეს სარრა 1ᲩᲐᲘᲡᲡ, მეორედ დახედვის შემდეგ მიცვალებულისა. ნათესავებმა გამოგვიცხადეს, რომ კუნთებზე დაჭრილი აქვს სარრასაო და ამიტომაც მეორედ გავმინჯე მკვდარი. არც მაშინ მინახავს მე კუნთებზე დაჭრილობა. ქუპერნიკის კითხვაზე: ხალხი ამბობდა, სარრა მოდებაძისა იმისთვის მოიტაცესო რომ ქრისტიანის სისხლი ეჭირებათ ურიებს თავიანთ პასეკისთვისაო. ხალხი ამბობდა ამას, მაგრამ მე ყურადღებას არ ვიქცევდი. მე არ გამიგონია, რომ ილარიონ ბამყოლიძე მისულიყოს ერთს ებრაელთან და ეთხოვოს იმისთვის ფული ამ საქმის თაობაზე. ბვამი ყორესთან ნახეს; ფეხები ყორეზე ჰქონდა მიდგმული; არხები იყო იქ ახლოს. ამ არხებით გვამის მიტანა იმ ადგილას არ შეიძლებოდა.

ვ ლ. ა ბ ა შ ი ძ ე (პოლიციის პრისტავი). 5-სა პერეკეისის მამასახლისისაგან მივიღე რაპორტი, რომ დაიკარგა ყმაწვილი და ებრაელებსა აქვსო ეჭვი. შემდეგ მომივიდა ამბავი, რომ 6-ს ყმაწვილი უნახავსთ დარბაიძეებთან. მე მოვახსენე ეს ამბავი უეზდის უფროსს, რომ გამოძიება მოახდინონ და მოიწვიონ ექიმი გასასინჯავად. ხალხში მღელვარება იყო, რადგან დარწმუნებული იყვნენ, რომ უეჭველად ის ბავშვი ურიებისაგან იყო ნაწვალევი და მოკლულიო. დიდ-ხუთშაბათის წინათ ურიებმა მთხოვეს, რომ იმ დღეს ქრისტიანები თავს დასხმასა და აკლებას გვიპირებენო, და ამიტომ ყაზახები გამოიხმე ჩვენის ხარჯითო. მე გამოვიხმე ყაზახები, მაგრამ იმ დღეს არავითარი უწესობა არ მოხდარა. იმ ხანებში რამდენიმე ჩხუბი მოხდა და რამდენიმე კაციც დაჭრეს. იმ დღეს, რა დღესაც ბავშვი დაიკარგა, ნისლი და წვიმა ყოფილა. იმ მხარეში ბევრი ისეთი ადგილებია, სადაც, რომ მიემალათ გვამი, კაცი თითქმის თავის დღეში ვერ ნახავდა. ის ადგილი, საცა გვამი ნახეს, მაღლობი ადგილია, ასე რომ იქ წყალი ვერ შეჩერდება. ქვალი ვნახე ორი ცხენისა; ვერ შევიტყე—ვინ იყო ცხენით

ამ ადგილზე და ვის ეკუთვნოდა ეს კვალი. ის გზა, რომელზედაც გაიარეს საჩხერეში ურიებმა, დანარჩენ ორ გზაზე უფრო გამოჩენილი გზაა, რადგან ამ გზაზე უფრო მეტი ხალხი დგას და ადგილათაც შენიშნავენ მგზავრს. მებრაელებს ყარაულები დაუყენე საჩხერეში, მაგრამ არავითარი განსაკუთრებული არ შემინიშნავს იმათს მოქმედებაში; თავიანთვის იყვნენ წყნარად, მშვიდობიანათ. პროკურორის კითხვაზე: რაბინი მხოლოთ ამ წლის 1 იანვრიდამ გაიგზავნა საჩხერეში; წლევანდლამდინ კი იმათ ხახამი ჰყავდათ, რომელიც ყველა სარწმუნოების მოქმედებას ასრულებდა. (სიტყვა „ხახამი“, უფ. ქუპერნიკის ახსნით, წარმოსდგება ესპანიურის სიტყვისაგან „ხოხმ“, რომელიც ნიშნავს ბრძენს, სწავლულს).

მ ე ლ ქ ო ტ ი ნ ტ ი ლ ო ზ ო ვ ი. მე და საჩხერის მამასახლისი გახლდით ურიებთან, ვკითხეთ იმათ, საიდამ მოგიდნენ. ბვითხრეს, რომ სოფ. პერევისიდამ მოველითო. ეა იყო ოთხშაბათს. ურიებს არავითარი ყრილობა არ ჰქონიათ. ბრალდებულების სახლებში ვიყავით, ეზოში გამოვიდნენ, არაფერი განსაკუთრებული არ შემინიშნავს. ის დღეს წვიმა იყო, წინადღესაც ცოტა წვიმა მოვიდა ღამე.

ბ ა ა ნ ა ი ა კ ო ბ ი ძ ე. ჩვენს ეზოში (თ. სიკო წერეთელთან) შემოვარდა ურია მიხეილ ელიკაშვილი და ყვიროდა სიკო წერეთელი მიჩვენეთო! თ. სიკო არ ყოფილა მაშინ სახლში. ამ ურიამ თქვა, რომ ჩვენმა რჯულმა თქვენი რჯული აწვალაო. ამ დროს სხვა ურიები მოვიდნენ და ძალათ წაიყვანეს. ის ურია ამბობდა, რომ თ. სიკოს უნდა უთხრა ჩემი გულის-პასუხიო. ქრისტიანის ბავშვზე იმ ურიას სხვა არა უთქვამსრა. არ შემინიშნავს, ის ურია აღელვებული იყო, თუ არა. ის ურიას არავინ არ გაულანძღავს, არც უგინებია არაფერი. ურიები რომ მოცვივდნენ, იმათ უთხრა ელიკაშვილმა: „დამანებეთ თავი, თქვენი რჯული ღორის რჯულიაო“!

დ ა თ ა ო ბ ო ა ძ ე. ურია მოვიდა სიკო წერეთელთან. ვკითხე—სად მიდიხარ-მეთქი? ისან მითხრა, რომ ჩვენმა რჯულმა ქრისტიანი აწვალაო. ჩვენ გვინდოდა გაგვეგდო ეზოდამ, ბაგრამ არ წავიდა, სანამ ჩემ გულის საიდუმლოს არ ვეტყვი, მანამ აქედამ ფეხს არ მოვიცვლიო. მერე მოვიდნენ ბევრი ურიები, ჩაავლეს ხელი და წაიყვანეს. ამ ურიამ ბევრი აგინა სხვა ურიებსა. მთვრალი არ უნდა ყოფილიყოს ის ურია, რადგან ღვინისა და არაყის სუნი არ ამოდიოდა და არც ბორძიკობდა.

შ ა ქ რ ა ს ა ხ ა ს ბ ი ო რ გ ი ძ ი ს ა. სიკო წერეთლის ეზოში შემოვარდა ურია და ყვიროდა: „მიჩვენეთ სიკო წერეთელი! ჩვენმა რჯულმა თქვენი რჯული აწვალაო! ჩემი გულის პასუხი უნდა უთხრა!“ შემდეგ შემოცვივდნენ ურიები და წაიყვანეს. აღელვებული იყო, მაგრამ მთვრალი კი არ ყოფილა.

ბ ი ბ ი ა დ უ შ უ ა შ ვ ი ლ ი, (საჩხერის მამასახლისი.) ოთხშაბათ საღამოს მე და პოლიციის პრისტავი სამსონ ჯაჯაიასთან ვიყავი. პრისტავმა მიბრძანა, წადი და შეიტყეო, რომელი ურიები მოვიდნენ პერევისის გზიდამ. ჩვენიაშვილებთან და ხუნდიაშვილებთან ვიყავი და იმათ მითხრეს, რომ ამ გზით ჩვენ მოველითო. იქიდამ უკან დავბრუნდი, ურიების საღოცავთან ვნახე რაოდენიმე ურია, რომელთაც მითხრეს, პრისტავთან ვიყავითო; შემდეგ აქედამ პრისტავს მოვახსენე -ყველაფერი და იმანაც მიბრძანა, რომ ის ურიები მომიყვანეო. ხუთშაბათს ბაზარში ურიებმა ერთი საშინელი ყვირილი და ღრიალი შეჰქნეს. მე ვკითხე იმათ და მითხრეს, რომ ურიებში დიდი ჩხუბი იყო; მიხეილა ელიკაშვილს ჯოხი ეჭირა ხელში და ყველას ემუქრებოდა, უნდა მოვკლა ესენიო. მეც ბევრი მაგინა და მლანძღა. ქაცები მოვიხმარე და შევაკვრევინე. ელიკაშვილი ძალიან მთვრალი იყო იმ დროს; იმ ზამთარშიც ერთხელ კიდევ არაყით დამთვრალიყო. იქიდამ გაგვექცა და სიკო წერეთლისას გაიქცა.

ამ გარემოების შესამოწმებლად კიდევ სხვა ოთხი მოწამე იყო გამოხმობილი დამცველებისაგან, მაგრამ, უ. ალექსანდროვის წინადადებით, რადგან მამასახლისის ჩვენებამაც გამოააშკარავა საქმე, ამიტომ სხვა მოწმეების კითხვა საჭიროდ აღარ მიგვაჩნიაო.

განცხადებანი

ქუთაისში

კ. ძესხის წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი წიგნები:

1) სიტყვანი და მოძღვრებანი—თქმულნი იმერეთის ეპისკოპოსის ბაბრიელის მიერ. ფასი 1 მან. და 50 კ.

2) იგივე, უკეთესს ქაღალდზე დაბეჭდილი. ფასი 2 მან.

3) რუსული ენის დასაწყისი კურსი ქართველთათვის (Практическій начальный курсъ рус. языка для друзинъ) —შედგენილი ბ. კ—შვილის მიერ. ფასი—60 კაპ. ვინც 20 წიგნზე მომეტებულს იყიდის, ეგზემპლიარი დაეთმობა 50 კაპეიკად.

4) დედა ენა—ი. ბოგებაშვილისაგან, 30 კ.

5) სიბრძნე სიცრუის წიგნი. ფასი — — — — — 50 კაპ.

6) ბუნების კარი—ი. ბოგებაშვილისაგან — — — — 70 კაპ.

7) პატარა ბიბლიოთეკა—იმისივე — — — — — — 10 —

8) ლოცვანი, შედგენილი მღვ. ღამბაშიძისაგან — — — 20 —

9) ნინო, მოთხრობა თ. რაფ. მრისთვისა— — — — — 15 —

10) თამარ ბატონიშვილთ—დრამა 5 მოქმ. — — — — 30 —

11) არანკა, პოემა ბ. წერეთლისა — — — — — — 20 —

12) სამზარეულო, ბ. ბ. ჯოხაძისა — — — — — 50 —

13) ყარამანიანი—პირველი ექვსი წიგნი— — — 30 კ. და 40 კაპ.

14) რძალი ბული და მაშენიკები—კომ. თუთაევისა— — — 30 —

15) ქართული კალენდრები 15—

16) სახარება — — — 25—

17) „ბუტიაობა“ ვოდევილი აკაკისა — — — — — 20 —

18) „ვაი ჭკუისაგან“ კომედია გრიბოედოვისა, ნათარგმნი ბ. წინამძღვაროვისაგან — — — — 40 —

19) სოლომონ ისაკიჩ მეჯლანუაშვილი — — — — 30 —

20) მგოსანი—ლექსები— 20 —

21) ანუკა ბატონიშვილი 20 —

აქვე ისყიდება ყოველნაირი სახელმძღვანელო წიგნები რუსულს ენაზე, კარტები, ატლასები, კალენდრები, რეფულები, კარანდაშები, მელანი, ქაღალდი, სურათები საქართველოს მეფეებისა და სხვ. და სხვ.

სასოფლო შკოლებს ყოველგვარი წიგნები მიეცემა ნაკლებ ფასათ.

მაღაზია იმყოფება მიხაილოვის ქუჩაზე, ხარაზოვის სახლებში, ქლუბის ქვეშ.

---

9 მარტს პირველსა და მესამე საათს შუა დღით, ფოზნესენკისა თუ სადოვის ქუჩაზე **დაიკარგა** ოქროს **ქინძისთავი**, თერთმეტის ბრილიანტით შემკობილი. ვინც ამ ქინძისთავს მოიტანს ჩემს უპრავლენიაში მაშინვე მიიღებს საჩუქრათ **ას მანეთს**.

თფილისის უმფროსი პოლიციისმეისტერი, პოლკოვნიკი მერკლინგ.

(3—3)

თფილისში უფ. ბ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და **ქუთაისში** უფ. ქოტე მესხის წიგნისვე მაღაზიაში **ისყიდება**:

ალმანახი

შედგენილი

ბ. თუმანიშვილისაგან

წიგნი მეორე

გამოცემული ბ. ჩარკვიანისაგან

ფასი—ორი აბაზი

ლექსები

„სიყვარული“

შედგენილი ანთ. ჯუღელისაგან გამოვიდა და იყიდება თფილისში ჩარკვიანის, ბართანოვის, ბრიქუროვის და სხვა წიგნის მაღაზინებში და „ივერიის“ რედაქციაში. სამეგრელოში დ. სუჯუნას, ბ. თოფურიძის დუქანში და აბაშის სტანციაზე პ. მელიქოვის დუქანში, ზესტაფონს ჩუბინიძის და ქოსტავასდუქანში.

ფასი ორი შაური. ოცს ეგზემპლიარს ვინც იყიდის ერთად, მას თითო ეგზემპლიარი დაეთმობა რვა კაპ. მეტს ვინც იყიდის იმას შვიდ კაპეიკათ.

დაიბეჭდა და ისყიდება
საქართველოს

კალენდარი

ფასი 20 კაპეიკი

შედგენილი ი. ლიაძისაგან და გამოცემული �ქ. ხელაძისაგან.

თფილისში, ყველა წიგნების მაღაზიაში. ბორში: ძამოევის მაღაზიაში. ქუთაისში: ა. მესხის წიგნის მაღაზიაში და ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში. ფოთში: ელისბარ ბაბალოვთან, ოზურგეთში, ზრიგოლ ჯინჭარაძის მაღაზიაში.—

ვინც 100 ეგზ. ერთათ გაიწერს, იმას ეგზემპლიარი 15 კაპეიკათ დაეთმობათ.—

ისყიდება უ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში

გამოვიდა და ისყიდება

„ბუტიაოგა“

ვოდევილი
აკაკი წერეთლისა

ისყიდება: ჩარკვიანის, ვართანოვის და ბრიქუროვის წიგნის მაღაზიებში. აგრეთვე უფ. შაერდოვის ბაზეთის საგენტოში—ბულვარზე.

ქუთაისში—უფ. ა. მესხის წიგნის მაღაზიაში.

ფასი—ერთი აბაზი.

უფ. ბ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და აგრეთვე ქუთაისში—უფ. ა. მესხის მაღზიაში ისყიდება

„ვაი ჭკუისაგან“

კომედია ოთხ მოქმედებად ბ რ ი ბ ო ე დ ო ვ ი ს ა. ნათარგმნი ბრ. ა. წინიძეოვროვის-მიერ.

ფასი—ექვსი შაური

„ჰაერ ოსტატი“

კომედია ოთხ-მოქმედებად, თხზულება
მ. ჯორჯაძისა

ვართანოვის წიგნის მაღაზიაში ისყიდება:

დედა-ენა, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახალხო შკოლებში სახმარებელი, შედგენილი ი. ბოლოვაშვილისაგან, მეორე შესწორებული გამოცემა. ფასი ექვსი შაური, ყდაში გადაკრული ცხრა შაური. თუ რომელიმე შკოლა იყიდის ერთათ ოც-და-ათ ეგზემპლიარსა, ან რომელიმე კერძო პირი ასსა, ეგზემპლიარი დაეთმობა უყდო ხუთ შაურათ, ყდიანი ორ აბაზათა.

ბუნების კარი, ანუ საკითხავი წიგნი, დაბალ კლასებში სახმარებელი, მესამე გამოცემა, შევსებული და შემკული სურათებით და საქართველოს კარტით; ფასი ხუთმეტი შაური. ეგზემპლიარი დაეთმობა თოთხმეტ შაურათ, ვინც ერთათ იყიდის თხუთმეტ ეგზემპლიარსა,—ცამეტ შაურათ, ვინც ერთათ წაიღებს ოც-და-ათ ეგზემპლიარსა და სამ აბაზათ ასი ეგზემპლიარის ერთათ მყიდველსა. ისაც ჰსურს ყდაში გადაკრული ვიღოს, უნდა ამ ფასს დაუმატოს სამი შაური.

საუმაწვილო კონა პირველ დაწყებითი მოთხრობებისა ბუნების მეცნიერებიდგან, გამოცემა პირველი, ფასი ექვსი შაური.

პატარა ბიბლიოთეკა, პირველი წიგნი, შეიცავს სამს საუმაწვილო მოთხრობასა; ფასი ორი შაური.

აქვე ისყიდება ყველა ქართული და რუსული სახელმძღვანელო წიგნები.

ქირით იძლევა ოთახები ბებილით და მოსამსახურით, თბილისში ოთ მანეთიდამ ოცამდე, თბილისში, საპერის ქუჩა, სამხედრო გიმნაზიის პირ-და-პირ № 12, არუთინოვის სახლში. (3—3)

გამოვიდა და ისყიდება ტფილისში ვართანოვის, ჩარკვიანის და სხვათა წიგნის მაღაზიებში.

დედანი

შედგენილი და გამოცემული
პეტ. შმიკაშვილისაგან
ფასი სამი კაპეიკი

მეოთხედი თაბანი სწერის ქაღალდისა. შეიცავს 5 სავარჯიშებელს: 1, ანბანის დედანი მგრგვალის ხელისა; 2 მაგალითი წიგნიდამ გადმოწერისათვის მგრგვალის ხელით; 3 ანბანის დედანი (იგივე ნუსხურის ხელისა და 4 დედანი (იგივე ნუსხურის ხელისა) გადმოწერისათვის ნუსხურის ხელით. ბოლოს 5 ნაწილში სარის მაგალითები—რა უმთავრესის ფუძეთით ებმის ასოების ერთმანეთს ბამბული ხელით ერთად წერაში.

აგრეთვე ისყიდება მისივე გამოცემა **წიგნი სიბრძნე სიცრუისა** თხზულება საბა ორბელიანისა. ფასი ათი შაური

თ. გრიგოლ ორბელიანის ლექსები. სქელ ქალალდზე. ფასი ერთი მანეთი.

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
					მ.	კაპ.	მ.	კაპ.
თფილისი . .	9	21	5	18				
მცხეთა . . .	10	11	6	27	-	85	-	44
ბორი. . . .	11	58	9	43	3	„	1	53
ხაშური. . .	1	29	11	57	4	73	2	42
სურამი. . .	1	44			4	90	2	61
ყვირილა . .	5	49			7	21	3	69
რიონი . . .	6	57			8	44	4	31
სამტრედია .	7	51			9	66	4	93
ახალ-სენაკი	8	43			10	71	5	47
ფოთი . . .	9	50			12	24	6	26
ფოთი . . .	9	3						
ახალ-სენაკი	10	14			1	53	-	78
სამტრედია .	11	5			2	61	1	33
რიონი. . .	12	13			3	84	1	97
ყვ-რილა . .	1	18	ღამე.		5	3	2	56
სურამი . . .	5	12	1	10	7	34	3	74
ხაშური. . .	5	39	1	37	7	51	3	84
ბორი . . .	7	5	4	8	9	24	4	73
მცხეთა . . .	8	50	6	59	11	39	5	82
თფილის . .	9	31	7	56	12	24	6	26

ტელეგრაფი

	მან	კაპ.
ოცი ხიტყვა თფილისიდამ:		
კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში.	—	50
როსტოვს, ოდესს, მოსკოვს	2	—
პეტერბოლს, ვარშავას	2	—
ოსმალეთშე, შვეიცარიაში. .	3	—
იტალიაში და საფრანგეთში .	3	50
ინგლისში	3	75

ფოსტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს— ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. ბახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში	კაპ.
და სამზღვარ გარეთ:	
ღია წიგნის	4
დაბეჭდილის (ხამი მისხალი) .	8

ბაზანდა

	მან	კაპ
თფილისი, 9 მარტს.		
ფქვ. თეთ. ბანჯიხა, ფუთ.	1	60
ფქვილი წითელი . . .	1	30
ქერი ფუთი	1	10
ბამბა მრგვლისა, ფუთი .	7	40
— ამერიკიაა, ფუთი . .	8	50
ბაპენტინი ბ მბა ფუთი.	9	70
მატყლი თუშური ფუთი.	6	50
— მარაქამისა ფუთი . .	3	80
აბრეშუმი ნუხური სტ .	2	10
ქონი, ფუთი	5	20
ქონის სანთ ლი ფუთი .	7	50
სტეარინის სანთელი, ფუთ.	12	45
ხორცი ძროხისა, ლიტ.	1	8
—ცხვრისა, ლიტრა . .	1	8
სპირტი ვედრო	4	60
შაქარი, ბროც. ფუთი .	7	45
—ფხვნილი ფუთი . . .	5	40
ყავა გრგვლი, გირვ . .	—	70
ზეთი ტუნგუზეთისა ფუთი	11	70
თამბაქო, ხაშაულო ფუთ.	6	80

თფილისის სამკურნალო.

ერევნის მოედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე ღილის 9 საათიდამ 1-მდინ.

ორშაბათს: ვერჩიშევი და ბარლევიჩი—შინაგ. ავათ., ქიუჩარიანც—ქალის ექიმი და საშეილოსნოს ოპერაციები.

სამშაბათს: ვერმიშევი—შინაგ. ა. ბახუტოვი—საბებიო და ბავშვის. პეუნოვი—თვალის.

ოთხშაბათი: ვერმიშევი შინაგანი ავათმყოფობის.

ხუთშაბათს: ვერმიშევი—შინაგ., ქიუჩარიანეი—სიფილიტიკური და ხაშარდ ორგანებიხ.

პარასკევს: ვერმიშევი-შინაგ., ა. ბახუტოვი—ხაბებიო, ქალისა და ბავშვების.

შაბათს: ვერმიშევი შინაგ., და პეუნოვი—თვალისა.

Дозволено цензурою. Тифлисъ 13 Марта 1879 г. Типографія Меликова. ბამომ. ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.